ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №46

2010 წლის -3--- დეკემბერი
ქ. ქარელი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების“ დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ და „ფ“ ქვეპუნქტების, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ჩ“ ქვეპუნქტის და 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

1. დაფუძნდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ,,ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“.

2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების“ წესდება (დანართი #1)

3. დაევალოს ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებელს უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების განხორციელება, რაც დაკავშირებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების“ რეგისტრაციისათვის.

4. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელისმოწერისთანავე.

5. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ხაშური, კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ღვინიაშვილი**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების“ წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ,,ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“ (შემდგომში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი) არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი არის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირის - ,,ქარელის კომპლექსური სასპორტო სკოლის“ სამართალმემკვიდრე.

4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი მიზნებიდან გამომდინარე მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს აქვს ბეჭედი, შტამპი, ანგარიშწორებისა და სხვა სახის ანგარიშები სათანადო დაწესებულებებში.

6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

7. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სრული სახელწოდებაა არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირი - ,,ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“.

8. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის იურიდიული მისამართია საქართველო ქარელი, ბესიკ კაპანაძის ქუჩა №11.

მუხლი 2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტრუქტურა

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი შედგება შემდეგი ფილიალებისაგან:

ა) ქარელის კომპლექსური სასპორტო სკოლა;

ბ) ქარელის სპორტკომპლექსი.

მუხლი 3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნები და ამოცანები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნებია:

ა) ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება;

ბ) სპორტული სახეობების მიხედვით ქალაქის, ეროვნული ნაკრები გუნდების კანდიდატების და სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული ჭაბუკი სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება;

გ) მოსწავლეთათვის შესაბამისი სპორტის სახეობების მიხედვით მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა;

დ) ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპანგადა, მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა;

ე) სპორტულ-მეთოდური საქმიანობის წარმოება;

ვ) მოსწავლეთათვის სამედიცინო-დიაგნოსტიკური, სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცესის ორგანიზება.

2. თავისი მიზნების განსახორციელებლად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი კანონით დადგენილი წესით:

ა) ამყარებს პარტნიორულ ურთიერთობებს ადგილობრივ და უცხოურ ორგანიზაციებთან.

ბ) ფლობს, იძენს და განკარგავს ქონებას.

გ) შეიძლება იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, საარბიტრაჟო სასამართლოში;

დ) შეიძლება ჰქონდეს სპორტული მოედნები და კომპლექსები.

3. თავის ამოცანების შესასრულებლად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ეტაპების შესაბამისად ახორციელებს შემდეგ სკოლისგარეშე სასპორტო საწვრთნელ საქმიანობას სპორტის რამოდენიმე სახეობაში:

ა) პირველი (დაწყებთი) ეტაპის საერთო ფიზიკური და დაწყებითი მომზადება მოიცავს:

ა.ა) მოძრავი სახალისო სპორტული თამაშობების შესწავლასა და მათში მონაწილეობის მიღებას;

ა.ბ) სპორტის საფუძვლებისა და ეროვნული სპორტული მემკვიდრეობის გაცნობას;

ა.გ) ჯანსაღი ცხოვრების წესის აღთქმასა და უნარჩვევების გამომუშავებას, სპორტულ-პატრიოტული სულის ჩამოყალიბებას;

ა.დ) მოსწავლე-სპორტსმენის მომზადებას შესაბამისად შემდგომ საწვრთნელ ეტაპზე გადასასვლელად;

ბ) მეორე (საბაზო-საორიენტაციო) ეტაპის საწვრთნელი სასპორტო საქმიანობა მოიცავს:

ბ.ა) პირველი (დაწყებით) ეტაპზე შეძენილი ცოდნისა და ფიზიკური ვარჯიშების სრულყოფასა და ფიზიკური კონდიციების ამაღლებას;

ბ.ბ) შესაბამისი უნარ-ჩვევების გაღრმავებას;

ბ.გ) სპორტის კონკრეტული სახეობის დაუფლებაზე ორიენტირებულ მომზადებასა და შესაბამის სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას;

ბ.დ) მოსწავლის (სპორტსმენის) მომზადებას შემდგომი წვრთნის ეტაპზე გასასვლელად.

გ) მესამე (საშუალო) ეტაპის -სპორტული დახელოვნებისა და სრულყოფის სასპორტო საქმიანობა მოიცავს:

გ.ა) წვრთნის პროცესის აქტივიზაციას;

გ..ბ) არჩეულ სპორტის სახეობაში შეძენილი სპორტული მომზადების, სპორტული ცოდნისა და უნარჩვევების რეალიზებას;

გ.გ)სპორტულ შეჯიბრებებზე მაქსიმალურად მაღალი შედეგების ჩვენებას და უმაღლესი სპორტული შედეგების მისაღწევად მომზადებას;

გ.დ)მოსწავლის(სპორტსმენის) მომზადებას შესაბამისად შემდგომი წვრთნის ეტაპზე გადასასვლელად.

დ) მეოთხე (უმაღლესი) ეტაპის - უმაღლესი სპორტული დაოსტატების სასპორტო საქმიანობა მოიცავს:

დ.ა) მაღალი სპორტული შედეგების ჩვენებას, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე, მათ შორის ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ თამაშებზე;

დ.ბ) მოსწავლეების (სპორტსმენების) მზადებას ეროვნული ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატობისათვის.

4.. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს შეუძლია განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა, რაც არ იკრძალება საქართველოს კანონმდებლობით, ატარებს დამხმარე ხასიათს, საქმიანობიდან მოგება უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების განხორციელებას.

მუხლი 4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მმართველი ორგანოები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს ხელმძღვანელობს მმართველი, რომელსაც ნიშნავს ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

2.მმართველი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, საწესდებო მიზნების მისაღწევად;

ბ) ხელს აწერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ოფიციალურ, მათ შორის ფინანსურ დოკუმენტებს;

გ) წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს სხვა პირებთან ურთიერთობაში;

დ) ახორციელებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების ოპერატიულ მართვას და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე საკრებულოს თავმჯდომარის წინაშე.

ე) საკრებულოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით ამტკიცებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შინაგანაწესს და სხვა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მართვისათვის საჭირო დებულებებს, საშტატო ნუსხას, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ გასაცემი დიპლომების, მოწმობების ან/და სერთიფიკატების ფორმებს, სამუშაოზე იღებს და ათავისუფლებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მომსახურე პერსონალს.

ვ) ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და კანონით აუკრძალავ სხვა ფუნქციებს;

3. მმართველი თავისი უფლებამოსილების შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებს.

4. მმართველის არყოფნის შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, მმართველის დავალებით, მის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ერთ-ერთი თანამშრომელი.

5. მმართველის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის, უფლებამოსილების გადამეტების ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია საკრებულოს თავმჯდომარეს.. ასეთ შემთხვევაში ერთი თვის ვადაში ინიშნება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ახალი მმართველი.

მუხლი 5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის ფუნქციები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის მიზნებია:

ა) ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში;

ბ) საერთო ფიზიკური და დაწყებითი მომზადება, მოძრავი სახალისო სპორტული თამაშობების შესწავლისა და მათში მონაწილეობის მიღება;

გ) სპორტის კონკრეტული სახეობის დაუფლებაზე ორიენტირებულ მომზადებასა და შესაბამის სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა;

დ) ჯგუფური საწვრთნელი და თეორიული მეცადინეობების ჩატარება.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალს ხელმძღვანელობს ფილიალის დირექტორი,რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით ნიშნავს და ათავისუფლებს მმართველი.

3. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, მმართველის დავალებით საკრებულოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, დირექტორის მოვალეობებს ასრულებს ფილიალის ერთ-ერთი თანამშრომელი.

4. დირექტორი თავის საქმიანობას წარმართავს ამ წესდებით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შინაგანაწესითა და მმართველის ბრძანებებით.

5. დირექტორი ანგარიშვალდებულია მმართველის წინაშე.

მუხლი 6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქონება

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს შეიძლება საკუთრებაში ჰქონდეს შენობები, ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები, ფულადი აქციები და მოძრავი ქონება, რაც ესაჭიროება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს თავისი საქმიანობის განსახორციელებლად;

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქონება იქმნება საწევრო შენატანების, წევრთა და სხვა პირთა შემოწირულობებისაგან, აგრეთვე კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებიდან.

მუხლი 7. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის შეწყვეტა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაცია და ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

მუხლი 8. დამფუძნებელი

„ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო“ საიდენტიფიკაციო კოდი 240893002

„ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობა“
ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ილია ბურჯანაძე _____